ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

17 ნოემბერი, შაბათი, 1990 წ.
№ 219 (10 388) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

# საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

**თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.**

როგორც ადრე ვიუწყებოდით, თბილისში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დეპუტატი აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი, მოადგილედ ნემო პიერის ძე ბურჭულაძე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა. მასვე დაევალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.



# ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა", „საქართველოს მოამბემ", „საქართველომ". „მატიანემ" და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

# შეიქმნა კომისიები

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე აირჩიეს თავმჯდომარეები კომისიებისა: კანონმდებლობის და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი; საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი ტარიელ გელანტია; ეკონომიკური რეფორმისა — დეპუტატი გივი თაქთაქიშვილი; ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა — დეპუტატი რობერტ პეტრიაშვილი; მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი ბაკურ გულუა; სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე; საერთაშორისო ურთიერთობებისა — დეპუტატი თედო პაატაშვილი; საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვისა — დეპუტატი ვაჟა ადამია; კულტურის, განათლების და მეცნიერებისა — დეპუტატი თემურ ქორიძე.

სესიის მასალები ვრცლად რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

# თენგიზ სიგუა

თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა დაიბადა 1934 წლის 9 ნოემბერს სოფელ ლენტეხში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1957 წელს — საქართველოს



პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1957-59 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1959-62 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტია. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ.

1989 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორად.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1988 წელს — სადოქტორო დისერტაცია. არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. არის მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სათათბიროს წევრი. 1989 წელს აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, 1990 წელს — ამავე საზოგადოების პრეზიდენტად. არის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

# აკაკი ასათიანი

აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი დაიბადა 1953 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1971 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად, მთარგმნელად, რედაქტორად. ბოლო დროს მუშაობდა საქინფორმში — საინფორმაციო სააგენტო „საქართველოში" მთარგმნელად.

აქტიურად მონაწილეობს ეროვნული მოძრაობის ყველა ღონისძიებასა და აქციაში, არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და „მრგვალი მაგიდის" წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# ნემო ბურჭულაძე

ნემო პიერის ძე ბურჭულაძე დაიბადა 1946 წელს პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით, მსახურობს მიწათმოწყობის რესპუბლიკურ ინსტიტუტ „საქსახმიწპროექტში" პროექტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

ნემო ბურჭულაძე საქართველოს ეროვნული ფრონტის — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდის" წევრია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია 1986 წლიდან.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

გამოხმაურება „ლელოს" პუბლიკაციებზე

„დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!"

# ქამა საგანგაშო შეძახილისა

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება ორგანიზებული ხასიათი ჰქონდეს და ადამიანებმა სისტემატურად ივარჯიშონ, გაიკაჟონ ორგანიზმი? ამ პრობლემებზე უკვე მუშაობს „მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია", რომელიც ამას წინათ დაფუძნდა.

დღეს სასაუბროდ მოვიწვიეთ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი თორნიკე სანებლიძე.

**● „ლელოს" პუბლიკაციები რუბრიკით „დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!" ჩვენმა საზოგადოებამ აღიქვა, როგორც საგანგაშო სიგნალი. რას იტყვით, იყო თუ არა სადღეისოდ წამოსაწევი ეს პრობლემა?**

— ვფიქრობ, დაგვიანებულიცაა. ჩვენი თაობის ბავშვობისას უკეთესად იყო საქმე. პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, იქიდან დავდიოდი ვაკეში, სადაც „ბუნებრივი სტადიონი" იყო და „სპარტაკის" პლაცს უწოდებდნენ. დაღამებამდე ჩოგბურთის ბურთით ფეხბურთს ვთამაშობდით. თითქმის ყოველ ეზოში იყო ტანვარჯიშული რგოლები და თვითნაკეთი „ტურნიკები", სადაც მრავალი მოზარდი თუ ახალგაზრდა ვარჯიშობდა. მხოლოდ ბაზების უქონლობა რომ მოვიმიზეზოთ, არ იქნება მართალი. ფიზიკური კულტურა, სამწუხაროდ, ჩვენ უკანა პლანზე დავწიეთ. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, განგაში დროულია და შეიძლება ცოტა დაგვიანებულიც. პრობლემა ყველასგან მოითხოვს დაფიქრებას.

**● თქვენ ხელმძღვანელობთ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტს, მდიდარი გამოცდილება გაქვთ პედაგოგიურ სფეროში. თვლით თუ არა საჭიროდ, რომ ადამიანის ფიზიკური აღზრდა დაბადებიდან ზრდასრულობამდე მეცნიერულად დასაბუთებული სისტემით უნდა წარიმართოს?**

— აუცილებლად. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ალბათ, უპირველესად თვით პიროვნებაზეა დამოკიდებული. არ არის საკამათო, რომ ახალშობილთა 99 პროცენტი მაინც ჯანმრთელი იბადება. შემდგომში აუცილებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება, რომელიც ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. თუ გვინდა დავაკონკრეტოთ ერის ჯანმრთელობის საფრთხის მიზეზები და გამოვძებნოთ მათი თავიდან აცილების გზები, პირველ რიგში, ვფიქრობ, აუცილებელია შევეხოთ სკოლამდელ ასაკს. სწორედ ჩვილ ბავშვებში უნდა შევინარჩუნოთ და შემდგომში განვავითაროთ ის აუცილებელი ფიზიკური თვისებები, რომელიც ბავშვისათვის ბუნებას მიუცია. ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა საშუალებებით (ჰიგიენური ფაქტორები, ფიზიკური ვარჯიშები) შესაძლებელია ამ ასაკში ჯანმრთელობის გამაგრება, ფიზიკური განვითარების გაუმჯობესება, მოძრაობის ჩვევების ფორმირება, ფიზიკური თვისებების სრულყოფა. ფიზიკური აღზრდის ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ასაკობრივი თვისებების ცოდნა, სწავლებისა და აღზრდის გონივრული მეთოდების გამოყენება. აუცილებელია აგრეთვე ფიზკულტურული მეცადინეობის ჩატარების, დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშის, მოძრავი და სპორტული თამაშების, ფიზიკური აღზრდის სხვა ფორმების მეთოდიკის სრულყოფილი დაუფლება. ყველაფერი ეს და კიდევ უამრავი სხვა საკითხი მოითხოვს სპეციალური კურსების შექმნას, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

**● საბავშვო ბაღებში ბევრგან არასპეციალისტები უძღვებიან ნორჩების ფიზიკურ აღზრდას. როგორ ფიქრობთ, გამართლებულია ეს თუ არა?**

— ახლო წარსულში თხუთმეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი საბავშვო ბაღების ფიზაღზრდის სპეციალისტის დიპლომით, მაგრამ მხოლოდ შვიდი კურსდამთავრებული მუშაობს სპეციალობით. თითოეულ საბავშვო ბაღს ერთი სპეციალისტიც რომ მივცეთ, საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდება. ამიტომ ჩვენ მოვნახეთ გამოსავალი და საბავშვო ბაღების პედაგოგები მოვამზადეთ ფიზიკური აღზრდის სპეციალობით. დღეისათვის 800-მდე აღმზრდელი საბავშვო ბაღებში განახლებული პროგრამით კვირაში ხუთჯერ (ადრე ტარდებოდა მხოლოდ ორჯერ) ატარებს ფიზკულტურულ მეცადინეობებს და ხელმძღვანელობს ყველა დანარჩენ ღონისძიებებს, რომლებიც ბავშვის გაჯანმრთელებასთანაა დაკავშირებული. ეს სასარგებლო პროცესი გრძელდება და, ალბათ, ახლო მომავალში რესპუბლიკის ყველა საბავშვო ბაღში შეიქმნება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ნორმალური პირობები. სამწუხაროდ, დღევანდელ ეტაპზე მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, პედაგოგიურ ინსტიტუტშიც უნდა მიმდინარეობდეს ვიწრო სპეციალობის სწავლება, მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტზე დაყრდნობა არ არის გამართლებული და, აქედან გამომდინარე, გადასახედია პედინსტიტუტის სწავლების პროგრამაც.

**● მხოლოდ თქვენს ფაკულტეტზე გადიან მომზადებას საბავშვო ბაღების ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები?**

— სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენთან და მეტი არსად. განათლების სამინისტროსთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, იქიდან გვიგზავნიან საბავშვო ბაღების აღმზრდელებს. ჩვენი თხოვნაა, მოავლინონ მოძრავი, მუსიკალური ახალგაზრდები. ფაკულტეტს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ეწოდება, ფაქტიურად კი, ხელახალი მომზადება ხდება.

**● ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თქვენ მრავალი წელია ამ სფეროში მუშაობთ, ხომ ვერ გვეტყოდით, უცხოეთში როგორაა გადაჭრილი მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის პრობლემები?**

— ჩვენ, პირველ რიგში, უნდა შევძლოთ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ფიზიკური კულტურა და სპორტი. იაპონიაში ბავშვებს პირველი კლასიდანვე ეძლევათ ჩათვლის წიგნაკები. მათ ოთხ წამყვან სახეობაში (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ჭიდაობა) უნდა ჩააბარონ ნორმატივები და ისე გადავიდნენ მომდევნო კლასებში — რა თქმა უნდა, ჯერ მარტივი ელემენტების შესრულებით, შემდგომ კი მოთხოვნები რთულდება და, როდესაც ახალგაზრდა სკოლას ამთავრებს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, თანრიგოსანია. შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ კლუბებში აგრძელებენ მეცადინეობას და ასე შემდეგ. წარმოუდგენელია, ჩინეთში მოსწავლე უშუს არ მისდევდეს. იაპონიაში, კერძოდ ტოკიოში, შესაძლებლობა მქონდა მენახა — დილის საათებში, დაახლოებით შვიდ-რვა საათამდე, რამდენიმე ცენტრალური პროსპექტი ტრანსპორტისთვის გადაკეტილი იყო იმიტომ, რომ მოსახლეობას ჰქონოდა საშუალება ერბინა, ევარჯიშა. თქვენ წარმოიდგინეთ, პროსპექტი ხალხით იყო სავსე. თუკი ჩვენთან რუსთაველის პროსპექტი დღის ნებისმიერ მონაკვეთში გადაიკეტება ხოლმე, იქნებ სჯობდეს დილის შვიდ-რვა საათამდე იგი ხალხის ჯანმრთელობის საქმეს დავუთმოთ? იუგოსლავიაში ქუჩის ნაწილი გამოყოფილი აქვთ ველოსიპედით მოსიარულეთ, მათი მოძრაობა კანონითაა დაცული. გარდა იმისა, რომ ველოსიპედი გადაადგილების კარგი საშუალებაა, იგი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საუკეთესო „წამალია". ჩვენთან, მთელს რესპუბლიკაში ველოსიპედით მოსიარულეთა რაოდენობა თითებზე ჩამოითვლება.

დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი საგანგაშო შეძახილს „ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!" გულთან ახლოს მიიტანს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ იყოს ძლიერი, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად.

# შემდეგა, არ შემდეგა...

10 ნოემბერს „ლელოში" გამოქვეყნდა საგანგებო ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცემული ბრძანების შესაბამისად ფიზიკური აღზრდა, როგორც საგანი, რჩება მხოლოდ I კურსზე, მაღალ კურსებზე კი გაძლიერდება სპორტული მუშაობა. ამ ცნობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ბრძანებაში სრულად ვერ აისახა სტუ-ს მეთოდკომისიის გადაწყვეტილების დედააზრი, რამაც გამოიწვია გაუგებრობა.

რედაქციაში გვეწვია სტუ-ს ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე ლევან ჩხიკვაძე და განმარტება ვთხოვეთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

**● პირველი შეკითხვა ასეთი იქნება, იყო თუ არა თქვენი თანხმობა ბრძანების გამოცემაზე. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ბრძანება თითქმის ყველასთან იყო შეთანხმებული, თქვენი კათედრის ვიზა კი, იქ არ ჩანდა.**

— ბრძანება სტუ-ს მეთოდკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწერა. მეთოდკომისიის სხდომებს, სულ სამი სხდომა ჩატარდა, ამ საკითხზე კათედრის გამგეებიც ვესწრებოდით.

**● ჩვენც და მკითხველებმაც ისე გავიგეთ, რომ ფიზიკური აღზრდა, როგორც საგანი, მხოლოდ I კურსზე რჩება.**

— არა, ასე არ არის. მოდით, ერთად, სრულად გავეცნოთ ბრძანების იმ მონაკვეთს, რომელიც ჩვენ გვეხება. აი ეს პუნქტიც: „მეთოდური კომისიისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ფიზიკური აღზრდის დისციპლინათა არსებული მეთოდიკით სწავლება განხორციელდეს მხოლოდ I კურსზე. მაღალ კურსებზე საჭიროებისამებრ შესაბამის კათედრებს დაევალოთ სპორტული მუშაობის გაძლიერება სექციებში სპორტის სახეობათა მიხედვით".

**● აი, ხომ ხედავთ, ისე გამოდის, რომ ფიზიკური აღზრდის სწავლება რჩება მხოლოდ I კურსზე, მაღალ კურსებზე კი მუშაობა უნდა გაძლიერდეს სპორტულ სექციებში. განა ერთი და იგივეა, სასწავლო პროგრამის სავალდებულო ათვისება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტულ სექციებში ვარჯიში? სპორტულ სექციებში ისინი გაერთიანდებიან, ვისაც ამის სურვილი აქვს, დანარჩენ სტუდენტებს რა ვუყოთ? თანაც არ დაგვავიწყდეთ, თქვენს კათედრას ფიზაღზრდის კათედრა ჰქვია, სპორტული მუშაობა კი სპორტკლუბების საქმეა. როგორ გავიგოთ, თქვენი ფუნქცია I კურსის შემდეგ წყდება?**

— ვრცელ განმარტებას არ შევუდგები. მთავარი ისაა, რომ მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილებაში სრულად არაა გახსნილი ჩანაფიქრი, რაც არათუ კრძალავს II კურსზე ფიზიკური აღზრდის სწავლებას, არამედ, პირიქით აძლიერებს მას მასობრივ სპორტში სტუდენტთა უფრო ფართო კონტიგენტის მოსაზიდად. სამწუხაროდ, გაუგებრობა ამან გამოიწვია. ბრძანებას საფუძვლად ხომ მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილება დაედო. სექციურ მუშაობაზე გადასვლა თვით სტუდენტთა მოთხოვნებითაც არის განპირობებული. სპორტკლუბი, ცხადია, დიდ სპორტს უხელმძღვანელებს.

**● მოდით, ერთხელ კიდევ დავაკონკრეტოთ: უქმდება თუ არა ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი პირველი კურსის ზევით?**

— არა, არ უქმდება, ინერგება მხოლოდ სიახლე და სტუდენტები ფიზიკურ აღზრდაში ჩათვლას მიიღებენ, როგორც გაკვეთილების პროგრამის მიხედვით, ისე, სექციებში მეცადინეობის შედეგებით. ამით ჩვენ რეორგანიზაციას ვახდენთ ფიზიკური აღზრდის ზემოდან ნაკარნახებ მოძველებულ სისტემაში. ეს მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილებაშიც არის დაფიქსირებული.

# რაჭაში იზრდებიან ფალავნები

**ამბროლაური.** რესპუბლიკის სპორტულ რუკაზე სულ უფრო მკაფიოდ ჩნდება. ამაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს მიუძღვით დიდი წვლილი. აქაური ყმაწვილების დღევანდელი თაობა აგრძელებს სასახელო ტრადიციებს. ჩვენ ადრე ვიუწყებოდით ამბროლაურელი ნორჩი ფალავნების წარმატებებზე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ მშობლიურ კუთხეს სამუშაოდ დაუბრუნდა ახალგაზრდა სპეციალისტი, სპორტის ოსტატი იაგო სირაძე და განათლების სპორტსკოლაში (დირექტორი ომარ ბრეგვაძე) შეუდგა მუშაობას. ეს იყო 1985 წელს. ახლახან რაიონში კი ჭიდაობის მოყვარულთა კლუბიც გაიხსნა.

წელს ამბროლაურელმა ჭაბუკებმა ბელორუსიის საერთაშორისო ტურნირი მოიგეს და ამ წარმატებით პერსონალური მიწვევა მიიღეს კრივოი-როგში, სადაც 12-13 წლის ფალავნებისთვის ამ დღეებში გაიმართა საკავშირო ტურნირი. კვლავ წარმატება — გუნდმა უძლიერესის სახელი და მთავარი პრიზი მოიპოვა. პირად პირველობაში კი პირველ ადგილზე გავიდნენ ბ. ბარსონიძე, ა. ქემოკლიძე და თ. მურუსიძე, მეორე პრიზიორები გახდნენ ლ. ბარსონიძე, ი. თვარაძე, და ლ. გორდეზიანი, მესამე ადგილზე გავიდა თ. ბაკურაძე.

ასპარეზობის 250 მონაწილეს შორის ყველაზე ტექნიკური ფალავნის სახელი მოიპოვა და საგანგებო ჯილდო დაიმსახურა თ. მურუსიძემ.

1991 წლის იანვარში ამბროლაურელი ნორჩი ფალავნები მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში მიიწვიეს.

„ლელოს" კორ.



**სურათზე:** კრივოი-როგის ტურნირში გამარჯვებული ამბროლაურელი ნორჩი ფალავნები.

საქართველოს X სპარტაკიადა

# ულიდერებოდ, მაგრამ საინტერესოდ

**ახლახან** ქუთაისში გამართული საქართველოს X სპარტაკიადის ფინალური ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენი ორი წამყვანი მოჭიდავის — თენგიზ თედორაძისა და ზაურ ივანიშვილის გარეშე ჩატარდა. ისინი მსოფლიო თასის გათამაშებისთვის ემზადებოდნენ და საკავშირო ნაკრებში იმყოფებოდნენ შეკრებაზე. ამ გარემოებას სატურნირო დაძაბულობა არ გაუნელებია — ყველა ორთაბრძოლა მოჭიდავეებმა დიდი ძონდომებით ჩაატარეს, არც ერთი შერკინება არ ყოფილა უინტერესო, თუ არ ჩავთვლით 100 კგ წონითი კატეგორიის ფინალურ ორთაბრძოლას, სადაც მსაჯებმა ორივე მოჭიდავეს მეორე ადგილი „აკმარეს", რამდენადაც ვერც ქუთაისელმა გოჩა ბარძელაძემ და ვერც ონელმა ნაიბი დვალიძემ ქულის აღება ვერ მოახერხეს.

ყველა წონით კატეგორიაში დაწესებული იყო სახელობითი პრიზები. ჯილდო საუკეთესო ტექნიკისათვის ხონელმა მამუკა ბაბლოანმა დაიმსახურა.

**ტექნიკური შედეგები:**

48 კგ. 1. გელა პაპაშვილი (თბილისი), 2. გოჩა ბოცვაძე (სამტრედია), 3. ზაურ გობაძე (ბათუმი); 52 კგ. 1. მამუკა ბაბლოანი (ხონი), 2. ოთარ ბაკურაძე (ბათუმი), 3. გიორგი ივანიშვილი (თბილისი); 57 კგ. 1. ზაზა ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 2. გელა ლელაძე (ბორჯომი), 3. ნოდარ ლოზაევი (სოხუმი); 62 კგ. 1. დამირ კირცხალია (სენაკი), 2. დიმიტრი მულაძე (ბორჯომი), 3. კობა გულიაშვილი (გარდაბანი); 68 კგ. 1. ვასილ ონიანი (ქუთაისი), 2. მამუკა გიგაური (გარდაბანი), 3. დიმიტრი ხოზრევანიძე (ბათუმი); 74. კგ. 1. გოგიტა ჯინჭველაშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი ადეიშვილი (თბილისი), 3. ამირან სვანიძე (ოზურგეთი); 82 კგ. 1. გიორგი ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 2. ჯემალ ბაკურაძე (ბათუმი), 3. დავით ქარსელაძე (თბილისი); 90 კგ. 1. ზვიად ჩხარტიშვილი (ოზურგეთი), 2. გიორგი კოლუაშვილი (ქუთაისი), 3. კობა ჰიჭვეიშვილი (სამტრედია); 100 კგ. 2. გოჩა ბარძელაძე (ქუთაისი), 2. ნაიბი დვალიძე (ონი), 3. მამუკა მეფარიშვილი (ჩოხატაური); მძიმე: 1. გურამ გედეხაური (თბილისი), 2. ბესიკ ჩანჩიბაძე (ბათუმი), 3. გიორგი სალდაძე (ქუთაისი).

გუნდური პირველი ადგილი 269 ქულით ქუთაისის ნაკრებმა დაიმსახურა, მეორე — თბილისის (239), მესამე — აჭარის (213) ნაკრებებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის თასი ფეხბურთში



დამთავრდა პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა საფეხბურთო სეზონი. ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ლანჩხუთის „გურია" და სოხუმის „ცხუმი". ალბათ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეს მატჩი ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც თავად ჩემპიონატი და სათასო ტურნირი იყო ფინალამდე; საფეხბურთო სპექტაკლს კი, მოგეხსენებათ, გულშემატკივართა მხარდაჭერის გარეშე არა აქვს ეშხი და ლაზათი.

მაშ ასე, კვირას, 18 ნოემბერს, პირველად გათამაშდება საქართველოს რესპუბლიკის თასი ფეხბურთში. გიწვევთ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. დასაწყისი 15 საათზე.

ძვირფასო მეგობრებო, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებო! საქართველოს რესპუბლიკის თასის ფინალურ მატჩს მთლიანად ილებენ ვიდეოფირზე, რათა იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს წარუდგინოს.

ველით თქვენს მხარდაჭერას!

## ღირსეულად უნდა დაგვირგვინდეს

ფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული დამოუკიდებელი ჩემპიონატის დამაგვირგვინებელი ასპარეზობა გახდება საქართველოს თასის ფინალური მატჩი, რომელიც 18 ნოემბერს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ამ დღეს ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან სოხუმის „ცხუმისა" და ლანჩხუთის „გურიის" გუნდები.

დიდი ინტერესით მოველი ამ ასპარეზობას. მე ბორჯომში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ. კარგა ხანია, სოხუმში დავმკვიდრდი და, რა თქმა უნდა, „ცხუმს" ვგულშემატკივრობ. ფეხბურთს, სპორტის ამ ყველაზე პოპულარულ სახეობას, ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი შევალიე. გული კი მწყდება, რომ როგორც მსაჯი, ისე წავედი საკავშირო სარბიელიდან, ერთხელაც არ მიმსაჯია უმაღლესი ლიგის დონეზე თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" მონაწილეობით გამართული მატჩი. საკვირველია, როცა თბილისის „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი" თამაშობდნენ, მოსკოველ არბიტრს შეეძლო ამ ასპარეზობის გაძღოლა, ჩემთვის კი აკრძალული იყო: აქაოდა, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ქართულ გუნდებთან თამაშში სანდო არ იქნებიო. ცხადია, იცოდნენ, რომ მიკერძოებას არ გამოვიჩენდი, მაგრამ სამართლიანი მსაჯობაც ვილაც-ვილაცეებს ალბათ ხელს არ აძლევდათ.

ასაკის გამო, როგორც იტყვიან, ბუცები კედელზე ჩამოვკიდე და აი, მოულოდნელად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მომცა. დიდად გამახარა ამ მოწვევამ და მთელი ჩემი ენერგია და გამოცდილება არ დავიშურე, რათა პატარა წვლილი შემეტანა დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ნორმალურად წარმართვაში.

მოგეხსენებათ, სოხუმის „ცხუმი" ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ სახელდახელოდ შეიქმნა. ყოფილი „დინამო" ორად გაიყო და „ცხუმის" ხელმძღვანელობა უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ფაქტიურად, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები, დრო კი არ ითმენდა. ასეთ პირობებში გუნდს მხარში ამოუდგა საზოგადოება. „ცხუმს" დახმარების ხელი გამოუწოდეს თბილისელებმა, ბათუმელებმა, ქუთაისელებმა, ზუგდიდელებმა, სამტრედიელებმა... ასე შეიქმნა ახალი ქართული გუნდი. სეზონის დასაწყისში „ცხუმი" ვერ ავლენდა თავის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმუმს, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და გამოცდილი მწვრთნელის, ანატოლი ნორაკიძის მეცადინეობით საგრძნობლად გამოკეთდა თამაშის ხარისხი. მართალია, პირველ წრეში დაკარგული ქულების ანაზღაურება ვერ მოხერხდა და შეიძლება „ცხუმს" გათამაშების ცხრილში ის ადგილი არ უკავია, რომლის ღირსიცაა, მაგრამ, სამაგიეროდ, სათასო მატჩებში შესანიშნავად იასპარეზა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო და რჩება ფეხბურთში ეროვნული კადრების სამჭედლოდ. გავიხსენოთ ამ რეგიონიდან თბილისის „დინამოში" წარგზავნილი ფეხბურთელები. რომელი ერთი დავასახელოთ: ავთანდილ ღოღობერიძე თუ ვლადიმერ მარღანია, ბორის ხასაია თუ ნიაზბეი ძიაფშიპა, გიორგი სიჭინავა თუ ვლადიმერ ბარქაია, ვიტალი დარასელია თუ ამირან ტყებუჩავა... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. „ცხუმის" სამერმისო მისია, უპირველესად, სწორედ ის არის, რომ ღირსეული კადრები აღუზარდოს ეროვნულ ნაკრებს.

იმედია, ეროვნულ სტადიონზე თასის ფინალში მოასპარეზე „ცხუმს", ისევე, როგორც ლანჩხუთის „გურიას", მრავლად ეყოლება ქომაგი. ასევე ღრმად მწამს, 18 ნოემბრის მატჩში ძალზე კვალიფიციური და ობიექტური მსაჯობა იქნება და ეროვნული ჩემპიონატის ბოლო აკორდი ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცევა.

დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა!

**ანატოლი მილჩენკო,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

### ფედერაციიდან გვაცნობეს

როგორც გაუწყეთ, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტურის მატჩში, ქუთაისში ადგილობრივ „ქუთაისთან" სათამაშოდ ორმოცი წუთის დაგვიანებით გამოცხადდა ოჩამჩირის „ამირანი". მატჩის კომისარმა ნება არ დართო გუნდებს ჩაეტარებინათ ეს შეხვედრა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ოჩამჩირის „ამირანს" ჩაეთვალა წაგება 0:3. მომავალი სეზონიდან ცხინვალის „ლიახვთან" ერთად „ამირანი" რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში იასპარეზებს.

## გათამაშების ცხრილი

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია" (თბილისი) | 34 | 24 | 6 | 4 | 91-23 | 78 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 34 | 22 | 6 | 6 | 73-20 | 72 |
| „გორდა" (რუსთავი) | 34 | 22 | 3 | 9 | 63-33 | 69 |
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 34 | 20 | 5 | 9 | 62-33 | 65 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 34 | 19 | 5 | 10 | 54-32 | 62 |
| „ბათუმი" (ბათუმი) | 34 | 18 | 7 | 9 | 56-28 | 61 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 34 | 13 | 10 | 11 | 52-37 | 49 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 34 | 12 | 10 | 12 | 47-38 | 46 |
| „მერცხალი" (ოზურგეთი) | 34 | 11 | 10 | 13 | 49-47 | 43 |
| „დილა" (გორი) | 34 | 12 | 6 | 16 | 51-55 | 42 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 34 | 11 | 8 | 15 | 43-44 | 41 |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 34 | 11 | 7 | 16 | 35-50 | 40 |
| „მზიური" (გალი) | 34 | 11 | 7 | 16 | 47-69 | 40 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 34 | 11 | 6 | 17 | 42-57 | 39 |
| „ეგრისი" (სენაკი) | 34 | 11 | 5 | 18 | 34-62 | 38 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 34 | 10 | 8 | 16 | 39-64 | 38 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 34 | 10 | 7 | 17 | 36-55 | 37 |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 34 | — | — | 34 | 11-135 | 0 |

## ამაო მუქარა

15 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, 1991 წლის საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩაივლის უცვლელი სისტემით, უმაღლეს ლიგაში გამოვა 16 გუნდი, ხოლო პირველ ლიგაში — 22.

პლენუმის მონაწილენი დაეთანხმნენ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: უკრაინა ექსპერიმენტის სახით 1991 წელს ჩაატარებს საკუთარ ტურნირს პირველი და მეორე ლიგების გუნდების მონაწილეობით, ხოლო რაც შეეხება უკრაინის 6 უძლიერეს გუნდს, ისინი კვლავინდებურად გამოვლენ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

მიიღეს, აგრეთვე, ასეთი დადგენილება: თუ საქართველოსა და ლიტვის გუნდები, რომლებმაც წლეულს კატეგორიული უარი თქვეს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, სურვილს გამოთქვამენ და დაუბრუნდებიან საკავშირო ჩემპიონატს, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს მათს თხოვნას, მაგრამ როგორც აღინიშნა ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კოლოსკოვმა, ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში, საქართველოსა და ლიტვის გუნდებს თამაშის დაწყება მოუხდებათ საკავშირო II ლიგაში.

ჩემპიონატის სტრუქტურა შენარჩუნებული იქნება 1992 წლისთვის, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: გაიზრდება თუ არა უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა 18-მდე. პლენუმის მონაწილეთა შეხედულებანი ამ საკითხზე გაიყო, ამიტომაც საკითხს განიხილავენ მოგვიანებით.

**რედაქციისაგან:** სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმის დადგენილებამ არ შეიძლება გაოცება არ გამოიწვიოს მათ შორის, ვინც კი ფეხბურთში ჩახედულია. საქართველოს ხელმძღვანელმა საფეხბურთო ორგანოებმა და შემდეგ ლიტველებმაც, გადაწყვიტეს საკუთარი ჩემპიონატების გამართვა და საკუთარი ნება-სურვილით გაეთიშნენ საკავშირო გათამაშებას. ეს გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევია, ამით ჩვენ გამოვთქვით პროტესტი იმპერიული ფეხბურთის ძალმომრეობისა დ თვითნებობის მიმართ, ახლა კი პირველ რიგში ვ. კოლოსკოვმა საქმე ისე შეატრიალა თითქოს ჩვენ ორჭოფულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჯერ არ გადაგვიწყვეტია და ვუბრუნდეთ თუ არა საკავშირო გათამაშებას და ამიტომაც მუქარით გვიქნევენ თითს, თუ დაბრუნებას დააპირებთ II ლიგის მეტს არ გაღირსებთო. ცხადია, ეს სხვა არაფერია თუ არა ძველი იმპერიული ტენდენციების ინერციული გაგრძელება, კვლავ ახალი, ყოვლად დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი მუქარა: თუ დაგაბრუნებთ, იცოდეთ, მხოლოდ მეორე ლიგაშიო, ე. ი. უმდაბლეს დონეზე (?!).

ამაზეა ნათქვამი, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. კოლოსკოვი შეიძლება დაწყნარებული ბრძანდებოდეს, საკავშირო ფეხბურთში დაბრუნებას საქართველო არ აპირებს, ამიტომაც საკავშირო ფედერაციას შეუძლია ის „სარეზერვო" ადგილები მეორე ლიგაში და მშვიდებით და დაწყნარებით გაუნაწილოს თავის გუნდებს. სამისო მსურვ[illegible]ბი შორეულ ჩრდილოეთში [illegible]ათ საკმარისად იქნებიან.

### საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში



თბილისი. ვაკის სტადიონი. 14 ნოემბერი.

**„ელმავალი" (თბილისი) — „აია" (ქუთაისი) 33:6 (11:0)**

„ელმავალი": ჩავლეიშვილი, ხვედელიძე, მარჯანიშვილი, ჩიქვინიძე, საცერაძე, თავაძე, ქერაული; ბაკურაძე, კ. გიუნაშვილი, შუბითიძე, ჯაფარაშვილი, გაგნიძე, გ. გიუნაშვილი, ნარიმანიძე; ლუდუშაური.

„აია": ე. ძაგნიძე; გეგუჩაძე, ხამაშურიძე, გეგელია, ალხაზაშვილი, ტყაბლაძე, კიკაჩეიშვილი, ბაბუნაშვილი, ტურძელაძე, ხახალეიშვილი; რეხვიაშვილი, ნაჭყებია, ოდიშარია; შვანგირაძე; ზ. ლიპარტელიანი.

მსაჯი: ზურაბ რეხვიაშვილი (თბილისი).

წელს საკავშირო ჩემპიონატში „აიამ" სამჯერ დაამარცხა „ელმავალი", თბილისელებმა კი, თავის მხრივ, ერთი კვირის წინ სძლიეს მეტოქეს და ამიტომ მატჩის წინ რაიმე პროგნოზის გაკეთება შეუძლებელი იყო. ყველა უშელავათო ბრძოლას მოელოდა, მაგრამ მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა: რკინიგზელებმა უკეთ ითამაშეს და აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

თავდაპირველად საცერაძე გაექცა მეტოქეებს და ლელო გაიტანა. მალე კარგად ითამაშა თავაძემ და ჩავლეიშვილს დაამიწებინა ბურთი. ამ უკანასკნელმა საჯარიმოც შეაგდო. ტაიმის მიწურულს ქუთაისელებს შვანგირაძე დაუშავდათ, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისი აღმოჩნდა.

ერთი მოთამაშით ნაკლებმა „აიამ" მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყო, მოლებსა და რაქებში უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ შერკინების უკანა ხაზისაგან „მოწყვეტის" გამო ვერ გამოიყენა იგი. ამასობაში თბილისელებმა ისარგებლეს კონტრშეტევის ხელსაყრელი შესაძლებლობით და ხვედელიძემ დროული გადაცემით შუბითიძეს ლელო გაატანინა.

„აიამ" ძალები მოიკრიბა და ანგარიშმიუცემლად შეუტია. სტუმრებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი ნაცადი ხერხი — ათკაციანი შერკინებიდან ჯგუფური ლელო გაიტანეს, რომელიც გარდასახა ტყაბლაძემ. ქუთათურებმა შემდგომაც გააგრძელეს იერიშები, რამდენჯერმე ბურთი ლელოს ხაზთანაც მიიტანეს, მაგრამ უშედეგოდ.

დაღლილობამ და მოთამაშის ნაკლებობამ მალე იჩინა თავი სტუმართა რიგებში, თბილისელებს კი „მეორე სუნთქვა გაეხსნათ" და მატჩის დამთავრებამდე კიდევ სამი ლელო გაიტანეს (ჩიქვინიძე, მარჯანიშვილი და ჯაფარაშვილი), სამივე გარდასახა ჩავლეიშვილმა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის ასეთი მდგომარეობაა: დავით ჩავლეიშვილი („ელმავალი") — 113 ქულა, კახა კობახიძე (სტუ) — 105, დემირ ძნელაძე („მიმინო") — 89, ნიკა იურინი („შევარდენი") — 88.

ამავე დღეს გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის მორიგი სხდომა. სრკ-მ თბილისის „ასოციაციას" ქუთაისის „აიასთან" გამოუცხადებლობის გამო მეორე მატჩშიც წაგება ჩაუთვალა.

ამასთანავე რაგბის კავშირმა აგერ მეოთხედ (!) შეცვალა გამოტოვებული და ჩემპიონატის ფინალური მატჩების განრიგი. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

25.11. „გელათი" — სტუ, „მიმინო" — „ასოციაცია" (III ადგილისთვის). 6.12. სტუ — „აია", „ელმავალი" — „სათაფლია" 8.12. ფინალური მატჩი: „ელმავალი" — „აია" (ვაკის სტადიონზე, დასაწყისი 18 საათზე).

დღეს „აკადემია" სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე 14 საათზე მიიღებს წყალტუბოს „სათაფლიას", ხვალ „ელმავალი" ვაკის სტადიონზე უმასპინძლებს „მიმინოს". შეხვედრა 12 საათზე დაიწყება.

**მერაბ რატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელსაც ჩემპიონები...

თბილისი. 13 ნოემბერი. ხავშვთა კალათბურთის სასახლე.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 95:92 (87:55).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: უძილაური (5), ხომერიკი, კობეშავიძე (23), დადიანი (19), ჩერქეზიშვილი (23), მაისურაძე, ფერიაშვილი (7), კორძაძე, შენგელია (18).

თსუ: კ. ქართველიშვილი, (16), რევაზიშვილი (4), გ. ქართველიშვილი (14), კოკოლიშვილი (4), ტურაშვილი (4), კოხრეიძე (6), ბერუაშვილი (33), ხელაშვილი, ბაქრაძე (11).

მსაჯები: მ. ქურიძე, რ. გელოვანი.

● ● ●

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—თსუ 96:78, (60:36).

თბილისი, 14 ნოემბერი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: უძილაური (21), კობეშავიძე (26), დადიანი (20), ჩერქეზიშვილი (6), მაისურაძე (2), ფერიაშვილი (5), კორძაძე, შენგელია (16).

თსუ: კ. ქართველიშვილი (10), რევაზიშვილი (12), გ. ქართველიშვილი, კოკოლიშვილი (7), ტურაშვილი (12), კოხრეიძე, ბერუაშვილი (25), ხელაშვილი (4), ბაქრაძე (8), ახვლედიანი.

მსაჯები: რ. ხომერიკი, მ. ქურიძე.



**დიდი** ინტერესით მოელოდნენ სპორტის მოყვარულები საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებს ვაჟთა გუნდებს შორის კალათბურთში, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო, ცოტა მოგვიანებით გაიმართა. ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ ორივე უმაღლეს სასწავლებელს საკმაოდ სახელოვანი სპორტული ტრადიციები აქვს და მძიმე, დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა. თავიდანვე დაწინაურდა უნივერსიტეტის გუნდი. პირველი ტაიმი უნივერსიტეტელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა — ისინი თამაშობდნენ ლაღად, თავისუფლად, რასაც ვერ ვიტყოდით ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდზე. 55:37 — ასეთი ანგარიში იყო პირველი ნახევრის შემდეგ. და ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ ვითარება შეიცვლებოდა. მაგრამ შესვენების შემდეგ მაყურებელმა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელთა სულ სხვა თამაში იხილა: ისინი ათამაშდნენ სწრაფად, ზუსტად ისროდნენ კალათში შორი მანძილიდან და შეძლეს არა მარტო ანგარიშის გათანაბრება, არამედ, როგორც იტყვიან, მოგება წაართვეს ხელიდან მეტოქეს.

განმეორებით შეხვედრაში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ — მათ ყველაფერი გამოსდიოდათ — როგორც შორი მანძილიდან სროლები, ასევე დაცვაში და ფარქვეშ კარგი თამაში. უნივერსიტეტელებს ბევრი ჰქონდათ ტექნიკური წუნი, ამასთან, არც სროლები „წაუვიდათ“, ტაიმის ბოლო წუთებზე შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ დრო ცოტა იყო დარჩენილი და პირველ ნახევარში დამარცხდნენ 36:60. მეორე ტაიმში თითქმის თანაბარი ბრძოლა იყო მოედანზე, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტელებს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ მატჩის ბედი, გაიმარჯვეს ანგარიშით 96:78 და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელი. გუნდის მწვრთნელები არიან ბესიკ ლიპარტელიანი და თემურ აბულაძე. მესამე ადგილი დაიკავა თბილისის „შევარდენმა“.

ბია ბურდული



საქართველოს ჩემპიონი კალათბურთში — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. პირველ რიგში: (მარცხნიდან): ალექსანდრე ფერიაშვილი, შოთა უძილაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ირაკლი ხომერიკი, ვეფხია მაისურაძე, ერნესტ მოველიძე.

მეორე რიგში: მიხეილ კობეშავიძე, თემურ აბულაძე, ბესიკ ლიპარტელიანი, კახა შენგელია, გოდერძი კორძაძე, გია ტუხაშვილი, დავით დადიანი.

გია ახალაძის ფოტო.

# მიუძღვნა ალესანდრო ნანინის

„ფორმულა-1“

**ავსტრალიის** ქალაქ ადელაიდას ქუჩებში გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის ბოლო, მე-16 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ავსტრალიის მეექვსე „გრან პრი“ (1985-1990 წ).

წინა ხუთ გათამაშებაში გამარჯვებულები არიან: კეკე როსბერგი (ფინეთი, „უილიამს-ჰონდა“) — 1985 წ; ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-პორშე“, „მაკლარენ-ჰონდა“) — 1986, 1988 წწ.; გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) —1987 წ; ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 1989 წ.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ 52-ე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ყველა შეჯიბრება მნიშვნელოვანია.

სტარტის შემდეგ დაწინაურდა სენა, რომელსაც კვალში ედგა ნაიჯელ მენსელი. ინგლისელმა პილოტმა რამდენჯერმე სცადა გასწრება, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევთან მისი „ფერარი“ მოსრიალდა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა ნელსონ პიკემ. აირტონ სენა კი წინ მიიწევდა და, რომ არა სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის მწყობრიდან გამოსვლა, ბრაზილიელი პილოტი დიდი ხნის ნანატრ გამარჯვებას მოიპოვებდა ავსტრალიაში. მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა და პირველ ადგილზე გავიდა სენას თანამემამულე ნელსონ პიკე.

საბურავების გამოცვლის შემდეგ მენსელმა მეხუთე პოზიციიდან განაგრძო რბოლა, მაგრამ სწრაფად ჩამოიტოვა მეტოქეები, მათ შორის თანაგუნდელიც და დაიბრუნა მეორე ადგილი.

ნელსონ პიკემ ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა „ბენეტონ-ფორდის“ საჭესთან და ალესანდრო ნანინის მიუძღვნა იგი. სულ იტალიურ-ინგლისურ გუნდს ოთხი ეტაპი აქვს მოგებული. თვად პიკეს—22.

306,018 კმ სიგრძის მანძილი (81 წრე) ბრაზილიელმა პილოტმა დაფარა 1 საათში 49 წუთსა და 44,570 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 167,399 კილომეტრი).

ტრასის რეკორდი დაამყარა ნაიჯელ მენსელმა — 1 წუთი და 18,203 წამი (საშუალო სიჩქარე საათში 174,009 კილომეტრი).

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 9; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი) — 6; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 4 (ორივე „ფერარი“); 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“)—3; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია) —2; 6. რიკარდო პატრეზე (იტალია) — 1 (ორივე — „უილიამს-რენო“).

ამრიგად, საბოლოოდ გაირკვა პილოტებისა და გუნდების მიერ დაკავებული ადგილები:

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 78 ქულა (მსოფლიო ჩემპიონი); 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) —71 (73); 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 44; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 43; 5. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 37; 6. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 34; 7. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 23; 8. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 21; 9. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 13; 10. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუს-ჯადი“)—6; 11. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ეუროზრუნ-ნეოტექი“, „ბენეტონ-ფორდი“) — 6; 12. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა-ლამბორგინი“) — 6; 13. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი“) — 5; 14. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ლოტუს-ლამბორგინი“) — 3; 15. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ტაირელ-ფორდი“) — 3; 16. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ-ჯადი“)—2; 17 ალექს კაფი (იტალია, „ეროუზ-ფორდი“) — 2; 13. მაურიზიო გუჟელმინი (ბრაზილია, ლეიტონ ჰაუს-ჯადი“) — 1 ქულა.




1. „მაკლარენი“ — 121; 2. „ფერარი“ — 110; 3. „ბენეტონი“ —71; 4. „უილიამსი“ — 57; 5. „ტაირელი“ — 16; 6. „ლოლა“—11; 7. „ლეიტონ ჰაუსი“ — 7; 8. „ლოტუსი“ — 3; 9. „ბრებემი“ — 2; 10. „ეროუზი“ — 2.

ცოტა ხნის წინ ალესანდრო ნანინის კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს ტრავმირებულ ხელზე. ექიმების აზრით, 1992 წლისთვის იტალიელი პილოტი შეძლებს „ფორმულა 1“ კლასში ასპარეზობას. მანამდე კი გუნდის მეპატრონე, ლუჩანო ბენეტონი ეძებს ნანინის შემცვლელს. თავიდან სამი კანდიდატი იყო. შემდეგ, როცა ტიერი ბუტსანი „ლიჟიეში“ გადავიდა, ხოლო მიქელე ალბორეტომ კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ეროუზთან“, დარჩა ერთი — დერეკ უორვიკი, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულება „ლოტუსთან“. ლუჩანო ბენეტონი არ გამორიცხავს, აგრეთვე, რობერტო მორენოსაც, რომელმაც, როგორც იცით, საუკეთესოდ იასპარეზა იაპონიაში. თუ რომელი პილოტი დაიკავებს ალესანდრო ნანინის ადგილს, შევიტყობთ მაშინ, როცა გუნდები შეუდგებიან მომავალი წლისთვის ახალი ავტომობილების გამოცდას.

დავით ჩუზგინიძე

# ეტაპი ვასილ დავიდენკომ მოიგო

**მეხიკო.** მექსიკის დედაქალაქში გრძელდება საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა, რომელშიც გამოდის თბილისელი სპორტსმენი ვასილ დავიდენკო. მეათე ეტაპზე (სიგრძე 150 კილომეტრი) მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — დისტანცია დაფარა 3:43.04-ში.

ამ ეტაპზე უძლიერესთა ათეულში მოხვდა, აგრეთვე, ლენინგრადელი ოლიმპიური ჩემპიონი დიმიტრი ნელიუბინი — 3:43. 07 (VII შედეგი). იგი საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა. ლენინგრადელ ველოსიპედისტს ევგენი ბერზინს ჯამში მეხუთე შედეგი აქვს. რბოლას მექსიკელი რაულ ალკალა ლიდერობს.

# „ალისა — მრთი ნაბიჯი გვირგვინამდე“

**ახლ** დაასათაურა ზაგრების გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ“ ჟურნალისტ სინიშა იოკსიჩის ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ალისა მარიჩთან. ასეთი „მაჟორული“ სათაური შემთხვევითი არ არის და ასახავს ჭადრაკის გულშემატკივართა იმ საყოველთაო აღფრთოვანებას, რაც 20 წლის დიდოსტატის დიდმა წარმატებამ გამოიწვია ბორჯომის ტურნირში. როგორც თვით პრეტენდენტმა განაცხადა, იგი უამრავ დეპეშას იღებს, სადაც ჭადრაკის გულშემატკივრები ახალ მიღწევებს უსურვებენ. უნდა ითქვას, რომ მარიჩის ტრიუმფი იუგოსლავიელთათვის მოულოდნელი იყო. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ პრეტენდენტთა ტურნირის დებიუტანტს ძალზე გაუჭირდებოდა ბრძოლაში გამობრძმედილ ქართველ დიდოსტატებთან გამკლავება. ჩვენ ახლა არ შევუდგებით ბორჯომის ასპარეზობის შედეგებზე მსჯელობას — მასზე უკვე ბევრი დაიწერა: სუბიექტური მიზეზებიც დაასახელეს და ობიექტურიც, „თავის მართლება“ ახლა გვიანღაა, სჯობს, როგორც იტყოდნენ ძველი რომაელები, „მოვუსმინოთ მეორე მხარეს“.

● **რა მოხდა ბორჯომში?**

— არ ვიცი, რითი დავიწყო; იქ მე ყველაფერი მშვენივრად გამომივიდა. ორგანიზატორებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს, შემოგვთავაზეს ყოველივე საუკეთესო, რაც კი გაჩნდათ. მართალია, ტურნირის დასასრულს მათ გული დასწყდათ — ვერც ერთმა ადგილობრივმა დიდოსტატმა ვერ მიაღწია წარმატებას.

● **საჭადრაკო თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ყველაზე კარგად თამაშობდით?**

— მე ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ის კი იყო, რომ იოსელიანთან მოგების შესაძლებლობა ვერ გამოვიყენე. ჩინელ მოჭადრაკესთან იმ მომენტში მომივიდა შეცდომა და ფიგურა დავკარგე, როცა სავსებით გავთანაბრე პოზიცია.

● **თქვენი მეტოქეები როგორღა თამაშობდნენ?**

— ჩინელი სე ჯუნი კარგად თამაშობდა. მისი სტილი გამოირჩევა მეტისმეტი სიმწვავით და დიდი გაბედულებით. შეჯიბრების პირველ ნახევარში ჩინებულად თამაშობდა გალიამოვაც. კარგად იბრძოდა გაფრინდაშვილიც, იოსელიანი თითქოს სრული ძალით არ მოქმედებდა, უფრო თავის გამოცდილებას და ხელოვნებას ენდობოდა. ახმილოვსკაიას თამაშიც უფერული იყო, იგი შორსაა თავისი ნამდვილი საბრძოლო მზადყოფნისაგან.

● **ახე რომ, საქმე სე ჯუნთან ფინალურ მატჩამდე მივიდა...**

— დაახლოებით ვიცით, როდის გაიმართება ეს ორთაბრძოლა — იანვარში ან თებერვალში. უფრო ზუსტად ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ვიცი, რომ სულ 8 პარტია უნდა ვითამაშოთ.

● **სად?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული, რას შემოგვთავაზებენ. მე, რა თქმა უნდა, იუგოსლავიაში მინდა თამაში, მაგრამ არ ვიცი, ფიდე რას გადაწყვეტს. როგორც შევიტყვე, ნოვისადს უნდა ამ მატჩის მასპინძლობა. ერთი სიტყვით, ვნახოთ.

● **ასეა თუ ისე, შესაძლებლობა გაქვს მაია ჩიბურდანიძეს შეხვდე...**

— ეს მატჩი სექტემბრისათვის არის დანიშნული.

● **სწავლა?**

— მე ახლა ბელგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე ვარ. სამწუხაროდ, მთელი წლევანდელი წლის მანძილზე საშუალება არ მქონდა ლექციებზე მევლო. როცა მსოფლიოს პირველობის ეს ციკლი დამთავრდება, სწავლას განვაახლებ.

● **როგორც მსოფლიო ჩემპიონი?**

— შესაძლებელია.

თარგმნა გიგი გამრეკელმა.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი № 2)

18 ნოემბერი ● ფეხბურთი

საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ცხუმი“ (სოხუმი)

დასაწყისი 15 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 17 და 18 ნოემბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

აბონემენტები აღნიშნულ თამაშზე ძალაში არაა.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდ გ. ქორქია, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ქ. ქავთარაძე.

ინდექსი 66455. საქართ[illegible] კპ ცკ გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კომპლექსში, ხოშარაულის ქ. 29.